მშენებლობა - I კვარტალი, 2017

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #96/ 06.07.2017

2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

- მშენებლობის სექტორის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაზრდილია 13%-ით;
- მშენებლობის სექტორის ბრუნვა 16%-ით არის გაზრდილი;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობის სექტორში 188%-ით (36.4 მილიონი დოლარი) არის გაზრდილი;
- მშენებლობაში დასაქმებულთა როადენობა 2.8%-ით (1.6 ათასი ადამიანი) არის გაზრდილი.

მშენებლობის სექტორის გამოშვებული პროდუქცია საქმიანობის სახეების მიხედვით, I კვ. 2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის პირველ კვარტალში, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მშენებლობის სექტორის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაზრდილია 13%-ით (137 მილიონი ლარი) და ჯამში 1.2 მილიარდ ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა 41% (507.2 მილიონი ლარი), საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა 22% (272.6 მილიონი ლარი), საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობა 16% (191 მილიონი ლარი), სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოები 10% (125.9 მილიონი ლარი) და სხვა საქმიანობის სახეები 11% (135.6 მილიონი ლარი).

ასევე, აღსანიშნავია რომ 2017 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სექტორის ბრუნვა 16%-ით (160 მილიონი ლარი) არის გაზრდილი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საინტერესოა მშენებლობაში კერძო სექტორში გამოშვების და ბრუნვის როლის გადანაწილება უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიხედვით. გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში, როგორც 2017 წლის პირველ კვარტალში ასევე 2016 წლის პირველ კვარტალში, ადგილობრივი იურიდიული ან ფიზიკური პირების წილი აღემატება უცხოელი პირების წილს. რაც შეეხება მშენებლობის სექტორის ბრუნვას, გამონაკლისი ფიქსირდება მხოლოდ 2016 წლის პირველი კვარტლის ბრუნვის მონაცემებში, როდესაც ადგილობრივების წილი 5.2%-ით ჩამოუვარდება უცხოელების ანალოგიურ მაჩვენებელს.

მშენებლობის სექტორის გამოშვების და ბრუნვის სტრუქტურა საკუთრების ფორმის მიხედვით, I კვ. 2016-17



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობაში და მშენებლობის სექტორის წილი მშპ-ში, 2015-17



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14% (55.7 მილიონი დოლარი) მშენებლობის სექტორში განხორციელდა. ინვესტიციების მოცულობით აღნიშნული სექტორი სიდიდით მეოთხე ადგილზეა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის (35%, 141.1 მილიონი დოლარი), უძრავი ქონებით ოპერაციების (20%, 80.3 მილიონი დოლარი) და საფინანსო სექტორის (20%, 79.6 მილიონი დოლარი) შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2017 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობის სექტორში მნიშვნელოვნად, 188%-ით (36.4 მილიონი დოლარი), არის გაზრდილი.

2017 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მონაცემი 1.8 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხები, 2015-17



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სექტორზე მთლიანად გაცემული სესხების მხოლოდ 33% (66.7 მილიონი ლარი) არის ეროვნული ვალუტით. დანარჩენი 67%, რამაც 133 მილიონი ლარი (კორექტირებული კურსით) შეადგინა, უცხოური ვალუტით არის გაცემული.

2017 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ვალუტით მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა 42%-ით (19.7 მილიონი ლარი) არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მაშინ, როცა უცხოური ვალუტით გაცემული სესხები გაზრდილია 24%-ით (25.9 მილიონი ლარი).

მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საკუთრების ფორმის მიხედვით, 2016-17



მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, 2016-17



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის პირველ კვარტალში მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2.8%-ით (1.6 ათასი კაცი) არის გაზრდილი და 59.4 ათას კაცს შეადგენს. ბიზნეს სექტორში მშენებლობა რიგით მეოთხე ყველაზე დიდი დამსაქმებელია ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების შემდეგ.

2017 წლის პირველ კვარტალში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მშენებლობაში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება 11%-ით (148 ლარი) არის გაზრდილი და 1512.4 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში რიგით მესამე ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება მშენებლობის სფეროშია.

2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ანაზღაურება მშენებლობის სექტორში ფიქსირდება სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოებში (3,910 ლარი), საინჟინრო ნაგებობების მშენებლობაში (2,114 ლარი) და არსებული ნაგებობების აღებასა და სამშენებლო მოედნის მომზადებაში (1,949 ლარი).

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016*	III 2016*	IV 2016*	2016*	I 2017*
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	3545.0	6682.3	13988.1	3018.8	3642.6	3767.3	3784.5	14332.8	3195.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	950.5	994.7	3766.6	811.4	979.1	1012.6	1017.2	3852.5	859.5
მშპ-ს რეალური ზრდა	2.5%	2.9%	2.9%	2.6%	3.0%	2.3%	2.8%	2.7%	5.1%
ინფლაცია			4.0%					2.1%	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	489.0	267.9	1564.5	388.6	445.3	463.3	330.3	1645.4	403.3
უმუშევრობის დონე			12%					11.8%	
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4195	4315	4315	4396	4404	4461	4515	4515	4581
სიღარიბის დონე (ფარდობითი)			20.1%					20.6	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://comtrade.un.org/data/ საპროგნოზო*
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო